პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქმე

№ 30 (3007)

1966 წ. 12 შაბათი, თებერვალი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ ᲗᲔᲗᲠ ᲑᲘᲚᲘᲙᲔᲑᲖᲔ

ტურინი, 11 თებერვალი. აქ მიმდინარე უნივერსიადაზე ოქროს კიდევ 1 მედალი მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა: მოთხილამურეთა ესტაფეტაში 4×10 კმ-ზე გაიმარჯვეს ვ. ტარაკანოვმა, ვ. პუსტოგაჩევმა, დ. იარლიკოვმა და ი. ვორონჩიხინმა — 2:08.04,8. II ადგილზე არიან იაპონელები — 2:15.40,7, ხოლო III — ჩეხოსლოვაკიელები — 2:18.09,4.

ვაჟებს მხარი ვერ აუბეს ქალებმა: ისინი „ვერცხლს“ დაჯერდნენ ესტაფეტაში 3×5 კმ-ზე. აქ გაიმარჯვეს ბულგარელებმა — 57.09,8. საბჭოთა სპორტსმენები მათ 27,7 წამით ჩამორჩნენ.

ჰოკეისტთა ასპარეზობაში საბჭოთა გუნდმა სძლია რუმინელებს — 9:6, ფინელებმა ადვილად მოუგეს იტალიელებს (10:2), ხოლო კანადისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების მატჩი პირველთა გამარჯვებით დასრულდა — 5:3. ჰოკეისტთა ტურნირში დღეს საბჭოთა სპორტსმენებმა იოლად სძლიეს ფინელებს (12:2) და ახლა ოქროს მედლების მოსაპოვებლად ბოლო მატჩში ჩეხოსლოვაკიელებთან ფრეც ყოფნით. სენსაციური დამარცხება იწვნიეს კანადელებმა რუმინელებთან მატჩში — 0:5.

ფიგურული სრიალის ოსტატთა შეჯიბრებაში სავალდებულო პროგრამის შემდეგ წყვილთა შორის დაწინაურდნენ მოსკოველები ტ. ტარასოვა და გ. პროსკურინი. ღენინგრადული დუეტი თ. მოსკვინა — ა. მიშინი ჯერჯერობით IV ადგილზეა.

სამთო-მოთხილამურეთა ასპარეზობაში საბჭოთა სპორტსმენები უხეიროდ გამოდიან.

1. ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲜᲔᲜ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ

ᲧᲘᲜᲣᲚᲘ ᲓᲐᲘᲫᲠᲐ!

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ 26-Ე ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲡ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲡᲞᲘᲜᲢᲔᲠᲣᲚ ᲕᲔᲚᲝᲠᲑᲝᲚᲐᲨᲘ Ო. ᲤᲮᲐᲙᲐᲫᲔᲡ ᲓᲐ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲛᲐᲡ. ᲕᲘᲜᲐᲐᲠᲡ.

● საცაა ყრილობა დაიწყება. რა იმედებით ხვდებით მას?

— ბედნიერი ვარ, რომ საქართველოს კომკავშირელთა ფორუმის დელეგატად ამირჩიეს. ეს ჩემი დიდი დაფასებაა. ყრილობისგან ველი ჩვენი ახალგაზრდობის კიდევ უფრო მტკიცე დარაზმვას სასახელო საქმეებისთვის.

● რას ფიქრობთ თქვენი საყვარელი სპორტის სახეობის განვითარებაზე საქართველოში?



— ველოსპორტი ახალგაზრდობას ძალიან უყვარს, მაგრამ სატრეკო ველოსპორტში ჭაბუკებისა და გოგონების მასობრივად ჩაბმას აფერხებს შემდეგი ფაქტორი: ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს შესაფერისი ტრეკი, თუმცა თბილისში საუკეთესო ტრეკის ასაგებად უკვე გადაიდგა სერიოზული ნაბიჯები. განზრახულია აგრეთვე გზატკეცილზე მრბოლელთათვის ტრასის გაყვანა. ერთი სიტყვით, ყინული დაიძრა. კომკავშირელთა ყრილობამ თავისი მუშაობის დროს ამ საქმეებზეც უნდა გაამახვილოს ყურადღება: საჭიროა ეს მნიშვნელოვანი ობიექტები გამოცხადდეს კომკავშირულ მშენებლობად.

2 : 0

რიო-დე-ჟანეირო, 10 თებერვალი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი განაგრძობს ტურნეს ბრაზილიაში. განვლილ ოთხშაბათს ჩვენები შეხვდნენ მინას-ჟერაისის შტატის წარმომადგენელს — „უბერლანდიას“. სტუმართა თავდამსხმელებმა კოპაევმა და მალაფეევმა პირველ ტაიმში თითო ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში. მატჩი დამთავრდა საბჭოთა გუნდის გამარჯვებით — 2:0.

სსრ კავშირის ნაკრები თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: კავაზაშვილი, პონომარიოვი, შესტერნიოვი, აფონინი, გეტმანოვი, ვორონინი, ჰუსაინოვი, მეტრეველი, ივანოვი (მალაფეევი), საბო (კოპაევი), ჩისლენკო.

ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲗᲐᲡᲔᲑᲖᲔ



◆ ათენი, 11 თებერვალი. ძნელია აღწერო 40 ათასი მაყურებლის აღფრთოვანება, როცა გუშინ ადგილობრივი აეკ-ის კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა თასის ნახევარფინალური ტურნირის მატჩში დაამარცხა ცსკა — 74:66 (33:30). შედეგი სამართლიანად გამოხატავს ძალთა შეფარდებას მოედანზე, სადაც ბერძნები მეტისმეტად აგრესიულად იბრძოდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ამერიკანოსი და ტრონძოსი, რომლებმაც გუნდს შესაბამისად შესძინეს 27 და 21 ქულა. ცსკა-ში საუკეთესო იყვნენ კორნეევი (17 ქულა), ტრავინი (14) და ვოლნოვი (13). საპასუხო შეხვედრა გაიმართება 17 თებერვალს მოსკოვში.

* * *

ერთმანეთს პირველად შეხვდნენ საბჭოთა და ბერძენი კალათბურთელების მეტოქენი ქვეჯგუფში — იუგოსლავიის „ზადარი“ და ბულგარეთის „ჩერვენო ზნამია“. გაიმარჯვეს იუგოსლავიელებმა — 79:53.

◆ კრაკოვი, 11 თებერვალი. წარუმატებლად გამოვიდა საბჭოთა კალათბურთელი ქალების ლიდერიც — რიგის ტტტ. რიგელები აქ შეხვდნენ ადგილობრივ „ვისლას“ და დამარცხდნენ — 53:57 (31:29). ამ გუნდების მეორე ნახევარფინალური თამაში გაიმართება 17 თებერვალს რიგაში.

◆ **ᲑᲠᲐᲢᲘᲡᲚᲐᲕᲐ,** 11 თებერვალი. **თასის გათამაშების პირველ მეოთხედფინალურ მატჩში მოსკოვის „დინამოს“ ფრენბურთელ ქალთა გუნდმა აქ დაამარცხა ადგილობრივი „სლავია“ — 3:2. განმეორებით ეს გუნდები 21 თებერვალს ითამაშებენ მოსკოვში.**

ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲙᲝᲠᲢᲔᲑᲖᲔ

კიევი, 11 თებერვალი. აქ გრძელდება უძლიერეს ჩოგბურთელთა საკავშირო შეჯიბრება. ქალთა შორის მეოთხედფინალში გასასვლელად მედგარი ბრძოლა გაიმართა მოსკოველ ტ. ჩალკოსა და თბილისელ ა. ივანოვას შორის. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა მოსკოველმა — 4:6, 6:3, 9:7. 16 წლის რ. ისლანოვამ (მოსკოვი) წააგო ტ. კივისთან — 7:5, 8:10, 4:6.

დღეს გამართული მეოთხედფინალური შეხვედრები ასე დამთავრდა: ტ. სიმპსონი — ტ. ტარანოვა — 6:4, 4:6, 13:11, ტ. კივი — ტ. ჩალკო — 2:6, 6:1, 11:9, ვ. კული — რ. აბაანდაძე — 6:3, 6:2, გ. ბაკშეევა — ო. მოროზოვა — 6:4, 6:2.

ᲛᲐᲗᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ

ზესტაფონის კაბელის ნაკეთობათა ქარხანა „საქკაბელის“ კოლექტივმა (დირექტორი დ. კუხიანიძე) 1965 წლის საწარმოო დავალება 28 დეკემბრისთვის გაანაღდა და მას შემდეგ წლევანდელ ანგარიშში მუშაობს. საწარმოს ამ წარმატებაში სპორტსმენებსაც მიუძღვით მნიშვნელოვანი წვლილი.

კაბელის წარმოება საქართველოში შვიდწლედის პირმშოა. ქარხნის არსებობის მოკლე მანძილზე აქ აითვისეს სხვადასხვა მარკის ნაწარმი, რომელმაც საკმაო აღიარება ჰპოვა ჩვენი ქვეყნის დიდ სამრეწველო ცენტრებში.

ზესტაფონელ მეკაბელეებს, რომლებიც აქტიურად ჩაებნენ წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში, განზრახული აქვთ წლეულს დაზოგონ 5 ტონა ფერადი ლითონი და 6 ტონა საიზოლაციო მასალები.

სკკპ XXIII და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობების აღსანიშნავ შრომითს ვახტზე ენერგიულად საქმიანობენ ქარხნის ფიზკულტურელები თ. ბუხნიკაშვილი, ნ. კაპანაძე, ჰ. მუმლაძე, თ. კირვალიძე, ვ. კოტრიკაძე, დ. გურული, ს. შალამბერიძე და სხვ. ისინი ყოველდღიურ დავალებებს გადაჭარბებით ანაღდებენ.

საწარმოში საერთოდ დიდი უურადღება ექცევა მშრომელთა ჯანმრთელობის გაძმტკიცებას. აქ ნაყოფიერად საქმიანობენ ფრენბურთის, კალათბურთის, ფეხბურთის, ჭადრაკის, შაშის სექციები და ზოგადგამაჯანსაღებელი ჯგუფები.

Ა. ᲒᲐᲜᲣᲑᲠᲐᲕᲐ.
(ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲠ.).

ზესტაფონი.

ᲐᲣᲖᲘ ᲐᲥᲕᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ...

თბილისის რესპუბლიკური საცურაო აუზში დამთავრდა დედაქალაქის ზამთრის პირველობა წყალბურთში უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შორის (1950-51 წ. წ. დაბად.). შეჯიბრებაში მონაწილეობდა 4 კოლექტივი — „დინამო“, „ლოკომოტივი“, „განთიადი“ და „განთლების განყოფილება. ასპარეზობას რატომღაც თავი აარიდეს ისეთმა საზოგადოებებმა, როგორიცაა „სპარტაკი“ და „შრომითი რეზერვები“. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელს აქვს ზამთრის მშვენიერი აუზი, მაგრამ, როგორც ჩანს, თავს არ იწუხებს წყალბურთის განვითარებისთვის. ეს კი ძალზე დასანანია, მით უმეტეს, რომ ახალარჩეულმა წყალბურთის საქალაქო ფედერაციამ (თავმჯდომარე — სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. გვახარია) თავიდანვე სერიოზულად მოჰკიდა ხელი ნორჩებთან მუშაობას და თავის კალენდარში გაითვალისწინა ჭაბუკთა გუნდების საქალაქო შეჯიბრებები, რომლებიც წინ უსწრებს რესპუბლიკურ და საკავშირო ღონისძიებებს.

ახლა ზემონათქვამი საქალაქო შეჯიბრების შესახებ. ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდა განთლების განყოფილების გუნდი, რომელმაც სამივე შეხვედრა მოიგო და დაიკავა I ადგილი. II ადგილი წილად ხვდა „განთიადს“, III — „დინამოს“.

ამ დღეებში სტარტზე გამოვლენ 1948-49 წლებში დაბადებული ჭაბუკები. აქ გამარჯვებული გუნდი მონაწილეობას მიიღებს ჩვენი ქვეყნის ჭაბუკთა მორიგ პირველობაში.

Გ. ᲙᲐᲪᲐᲜᲐᲫᲔ,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔ: „დინამოს“ (თეთრ ქუდებში) და „განთიადის“ გუნდების შეხვედრის მომენტი.

ფოტო ვ. გენგიურიასა.

2. ლაპარაკობენ დელეგატები

...ვაქსა და ოქროს მედლებს

„ბურევესტნიკი“ ინტერვიუ

ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს კომკავშირის 26-ე ყრილობის დელეგატს — თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა გუნდისა და სსრ კავშირის ნაკრების მეკარე ჯ. აბაიშვილს და ესაუბრა მას. ვაქვეყნებთ ამ საუბრის შინაარსს.

● ხელბურთის გარდა კიდევ რა გიტაცებთ?

— რასაკვირველია, შრომა. უშრომლად ერთი დღეც ვერ წარმომიდგენია. პროფესიით ინჟინერი ვარ და ვმუშაობ „საქსოფლმშენსახპროექტში“. ჩემი სამოქმედო არეა გაზი და გათბობა. ამას წინათ იტალიაში ჩემი ყურადღება მიიპყრო საცხოვრებელი ბინებისა და საწარმოთა გათბობის კარგმა ორგანიზაციამ. შრომის მაღალმა კულტურამ და რიგმა ტექნიკურმა სიალოლობა მოსწავლე კალათბურთელთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა რაიონული ცენტრის 5 საშუალო სკოლის 20 გუნდი. გოგონებში I ადგილზე დაუმარცხებლად გავიდა მე-3 საშუალო სკოლის ნაკრები. საშუალო ასაკის ჭაბუკებში ყველას აჯობეს სკოლა-ინტერნატის წარმომადგენლებმა, ხოლო უმცროსი ასაკის ჭაბუკებში — მესამესკოლელებმა.

თ. შველიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

სურათზე: ჯ. აბაიშვილი ყურადღებადაა ქცეული.

ხლეებმა. ასე რომ, ისლანდიაში მოგზაურობამ ჩემში მხოლოდ სპორტული ინტერესი რიდი გამოიწვია, მან ერთგვარად გაიღრმავა ჩემი პროფესიული ცოდნაც. როგორც ახალგაზრდა სპეციალისტს, მჭირდება გაწაფვა და კვალიფიკაციის ამაღლება.

● როგორია თქვენი გეგმები სპორტში?

— კარგად ჩავატარო მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ფინეთთან (ჰელსინკში) და გდრ-თან (თბილისში). ამის მერე დავიწყებ მზადებას სსრ კავშირის ხელბურთელთა V ჩემპიონატისთვის.

● რას ინატრებდით ყველაზე მეტად წლეულს?

— ვაჟის შეძენას. დიდი სურვილი მაქვს აგრეთვე თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელებმა და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა წლეულს ჩემპიონის ოქროს მედლები დაიბრუნონ.

● რას მოელით საქართველოს კომკავშირელთა ყრილობისგან?

— ყრილობა უთუოდ ახალ, ცხოვრებისეულ საკითხებს დაუყენებს ჩვენს ახალგაზრდობას, მათ შორის სპორტის დარგშიც. ცხადია, ფიზკულტურა და სპორტი ჩვენში კიდევ უკეთ უნდა ვითარდებოდეს, იქმნებოდეს ახალი საწვრთნელ-სავარჯიშო ბაზები. როგორც ხელბურთელს, ასე ვთქვათ, „სუბიექტური“ სურვილიც მაქვს. მსურს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საშუალო სკოლებში ხელბურთის დანერგვასა და მოედნების მოწყობას. მჯერა, რომ კომკავშირელთა ყრილობა ამ მნიშვნელოვანი საქმეებისკენ მოუწოდებს და დარაზმავს საქართველოს ახალგაზრდობას.

გოლი საკუთარ კარში

ბაკურიანი, 11 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). რაც უფრო ახლოვდებოდა საქართველოს ზამთრის II სპარტაკიადის ფინიში, მით უფრო მწვავდებოდა ბრძოლა ყველა სახეობაში. განსაკუთრებით გამძაფრდა გამარჯვებისათვის ჭიდილი საერთო-გუნდურ ჩათვლაში, სადაც I ჯგუფის კოლექტივთა: ასპარეზობაში ბორჯომის გუნდს ფეხდაფეხ მისდევდა თბილისის ნაკრები საკმარისი იყო მასპინძელთა ერთი წაფორხილება, რომ დედაქალაქს მოთხილამურეებს, ფეხბურთელთა ენაზე რომ ვთქვათ, გადამწყვეტი გოლი გაეტანათ. სპარტაკიადის ბოლო დღეს ზუსტად ასე მოხდა. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ეს ამოცანა გადაჭრეს არა თბილისელებმა, არამედ... ლიდერებმა — ბორჯომელმა სპორტსმენებმა. რომლებმაც საკუთარ კარში გაიტანეს გოლი.

გუშინ გაიმართა ორჭიდელთა ტურნირის დასკვნითი ეტაპი —15 კმ-ზე რბენა. აქ 3 თვაური გამოდიოდა — ძმები გიორგი და ფელიქსი, აგრეთვე მათი ბიძაშვილი —ელგუჯა. ფელიქსი, რომელიც თბილისის ფეხსაცმლის საწარმო გაერთიანება „ისნის“ ფიზკულტურის ინსტრუქტორია, ძმისა და ბიძაშვილის წინააღმდეგ იბრძოდა, გიორგი და ელგუჯა კი ბორჯომის ინტერესებს იცავდნენ.

70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომის შემდეგ ბორჯომის გუნდი ორჭიდში ლიდერობდა და ამ პოზიციის შენარჩუნება რბენაში მისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა, ვინაიდან ამ სახეობაში ელგუჯას გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ. მართლაც, დისტანცია მან ყველაზე სწრაფად (59. 20,0) გაირბინა, მაგრამ სტარტზე გამოცხადდა... 12 წუთის დაგვიანებით, წესის თანახმად კი დაგვიანება სპორტსმენის დროში შედის. ასე გაიტანა გოლი საკუთარ კარში ე. თვაურმა და საერთო-გუნდურ ჩათვლაში გამარჯვების სასწორი საბოლოოდ გადაიხარა თბილისელთა მხარეს.

ორჭიდში პირადი გამარჯვებისათვის ბრძოლა უმთავრესად ძმებში მიმდინარეობდა. ხტომის მერე დაწინაურებულმა გიორგიმ რბენაში 6,5 წამით წააგო ფელიქსთან, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მასპინძლისთვის სპარტაკიადის ჩემპიონობა მოეპოვებინა და კიდევ ერთხელ შეესრულებინა სპორტის ოსტატის ნორმა. გულნაკლული არც ფელიქსი დარჩა: II ადგილი და ოსტატობის ნორმის პირველად შესრულება ორდღიანი შრომის ღირსეული საფასურია.

ყოჩაღ, მესტიელებო!

უნდა აღინიშნოს მესტიელთა თავდადებული ბრძოლა. ამ რაიონის კოლექტივში მრავალი პროფესიის ადამიანს შეხვდებოდით. გუნდის საერთო ყოლაბაში საკუთარი წვლილი შეჰქონდათ პირველთანრიგოსნებს — სოფელ ბეჩოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, მორბენალ ი. ვეზდენს, რაიაღმასკომის ინსტრუქტორს, სამთო-მოთხილამურე ბ. ჩართოლანს, რაიფინგანის საბიუჯეტო განყოფილების გამგეს, ტრამპლინიდან მხტომელ ფ. ფილფანს და სხვ. სამთო-სათხილამურო სპორტში მესტიელთა ლიდერი, სპორტის ოსტატი ბ. კახიანი ახლა იტალიაში იმყოფება უნივერსიადაზე. ამ „დანაკლისის“ შევსებას მთელი კოლექტივი ცდილობდა. მაგალითად, ტრამპლინიდან მხტომელი ბ. მჭედლიანი ორჭიდშიც გამოვიდა და 15 კილომეტრი (1:10.22,0) 7 წუთით უფრო სწრაფად რომ გაერბინა, ორჭიდში პირველი მესტიელი ოსტატი გახდებოდა.

წმინდა ხტომებში მჭედლიანმა პირველ ცდაზე ყველაზე უკეთესი შედეგი აჩვენა —73 მ. მას მხოლოდ ნახევარი მეტრით ჩამორჩა სპორტის ოსტატი მ. გავა (თბილისის „დინამო“), რომელიც ახლახან დაბრუნდა ჰოლონეთიდან, სადაც საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა. მჭედლიანმა მეორე ნახტომის არეკენი შედარებით ცუდად განახორციელა, ტემპი დაკარგა, გადახტა 64,5 მეტრზე და II ადგილით დაკმაყოფილდა. ჩემპიონი გახდა მ. გავა.

სპარტაკიადამ გამოავლინა ჩვენი ბიატლონისტების ზრდა. ამ ტურნირში გამარჯვებულმა ა. ქუმარიტაშვილმა (ბორჯომის „კოლმეურნე“) თუ I სპარტაკიადაზე სამიზნეს 20 გასროლით მხოლოდ 5 ტყვია მოახვედრა, ახლა ამდენივე ააცილა.

გუშინ გამოვლინდა სპარტაკიადის კიდევ 4 ჩემპიონი სწრაფდაშვებასა და სხვადასხვა მანძილზე რბენაში. მაჩვენებლები აქაც მაღალი იყო. ქალთა სწრაფდაშვება ოსტატობის კანდიდატის ნორმით მოიგო შ. ცნობილაძემ (თბილისის „განთიადი“), ვაჟთა სწრაფდაშვებაში, 50 კილომეტრზე რბენასა და ქალთა 10-კილომეტრიან რბოლაში 23-მა სპორტსმენმა აჩვენა I თანრიგის ნორმა.

სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ მოეწყო პრიზიორთა —გუნდებისა და სპორტსმენების დაჯილდოება. შემდეგ კი ბორჯომის კულტსასლში მონაწილეთათვის გაიმართა კონცერტი.

ო. გელაშვილი.

სარბიელი, სპორტსმენი და შეჯიბები

9 თებერვალი. ტრამპლინიდან ხტომა. 1. მ. გავა — 227,7 ქულა (72,5 და 71 მ), 2. ბ. მჭედლიანი (მესტია, „კოლმეურნე“) — 218,1 (73 და 64,5); 3. გ. თვაური (ბორჯომი, „დინამო“) — 206,9 (67,5 და 67). **ბიატლონი.** 1. ა. ქუმარიტაშვილი — 2:05.57,0, 2. ნ. კოზანაშვილი (სამხრეთ ოსეთი, „განთიადი“) — 2:16.48,0, 3. ვ. კოზლოვი (ქუთაისი) — 2:20.56,0.

10 თებერვალი. ორჭიდი. 1. გ. თვაური (ბორჯომი, „კოლმეურნე“) — 466,93 ქულა (ხტომა — 221,1, რბენა — 245,83), 2. ფ. თვაური (თბილისი, „განთიადი“) — 461,07 (213,3 და 247,7), 3. ბ. მჭედლიანი — 392,39 (245,6 და 146,79). **ქალთა რბენა 10 კმ.** კ. კეხბა (თბილისი, „სპარტაკი“) — 38.31,0, 2. ვ. გავა (თბილისი, „განთიადი“) — 40.09,0, 3. ე. გავა (თბილისი, „განთიადი“, პირადი) — 42.22,0. **ვაჟთა რბენა 50 კმ.** 1. ნ. ბიტიუკოვი (თბილისი, „ბურევესტნიკი“) — 2:57,46,0, 2. ნ. დიაკონაშვილი (თბილისი, „განთიადი“) — 3:04.39,0, 3. გ. სანაკოევი (სამხრეთ ოსეთი, „კოლმეურნე“)—3:07.57,0. **სწრაფდაშვება, ქალები** (ტრასის სიგრძე 1530 მ, 21 კარი, სიმაღლეთა სხვაობა 400 მ), 1. ლ. გოგოლაძე (ქუთაისი, „კოლმეურნე“) — 1.37,3, 2. შ. ცნობილაძე (თბილისი“, „განთიადი“) — — 1.40,6, 3. ნ. ფალიანი (მესტია, „კოლმეურნე“) — 1.46,8; **ვაჟები** (ტრასის სიგრძე 1530 მ, 20 კარი, სიმაღლეთა სხვაობა 400 მ). 1. გ. აბრამიშვილი (თბილისი, „დინამო“) — 1.24,9, 2. ი. ჯანგობეგოვი — 1.26,5, 3. ი. ოვანესოვი — 1.27,1, 4. შ. კოზანაშვილი (სამეგანი — ბორჯომი, „დინამო“) — 1.27,1.

საერთო-გუნდური ადგილები: I ჯგუფი — 1. თბილისი, 2. ბორჯომი, 3. მესტია. II ჯგუფი: 1. ქუთაისი, 2. სამხრეთ ოსეთი, 3. ამბროლაური. **სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა შორის:** 1. „კოლმეურნე“, 2. „განთიადი“, 3. განათლების სამინისტრო.

დამთავრდა საქართველოს ზამთრის II სპარტაკიადა

რამდენიმე ეკრანიზაციაზე

✦ ჟუთაისი

ქალაქის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში ჩატარდა „განთიადის“ საქალაქო გუნდური პირველობა ჭადრაკში. ჩემპიონობას ერთმანეთს ეცილებოდა 13 კოლექტივი. სპრინზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ელექტრომექანიკური ქარხანა (ა. რაზოვსკი, მ. ხანანაშვილი, ი. კოტრიკაძე, ბ. ზარნაძე, შ. ბარათაშვილი, დ. სვანიძე), 2. ლიტოპონის ქარხანა, 3. სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო.

შ. ნიჟარაძე.
(ჩვენი კორ.).

✦ წულუკიძე

ბავშვთა სპორტსკოლის დარბაზში გაიმართა ზამთრის პირველობა.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

სახნისით... ფეხბურთის მინდორზე

გაზეთ „ლელოში“ ამას წინათ წავიკითხეთ წერილი, სადაც ერთი სოფლის ახალგაზრდები უჩიოდნენ კოლმეურნეობის გამგეობას, რომ მათ მიერ მოწყობილი ფეხბურთის მინდორი გადახნეს და საყანედ აქციეს.

ჩვენც ამ მდგომარეობაში ვართ. ზესტაფონის რაიონის სოფელ ხაზანოს ლადო კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდებს გვიყვარს ფეხბურთი, გვქონდა სათამაშო მინდორიც, სადაც ვვარჯიშობდით თავისუფალ დროს.

კოლმეურნეობის გამგეობას (თავმჯდომარე ლ. ორბელაძე) არ მოეწონა ჩვენი გატაცება და გადაახნევინა ფეხბურთის მინდორი. ახლა როგორ მოვიქცეთ: თავიდან ვეძიოთ მოედანი, თუ გამგეობა ძველს დაგვიბრუნებს?!

სოფელ ხაზანოს ახალგაზრდობა.

ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ —

ᲗᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐᲡ

ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, რომ ფეხბურთში მსოფლიოს VIII ჩემპიონატს მოიგებს ინგლისი და ეჭვობენ ბრაზილიელთა მიერ ოქროს ჭალიმერთის ქანდაკების მესამედ და საბოლოოდ მოპოვებას. წერენ, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელებს შეუძლიათ მოახდინონ სიურპრიზი და იპიც არა მარტო თავიანთ IV ჯგუფში...

დღეს ბევრს წერენ და ლაპარაკობენ ფეხბურთზე. ეს ახლა უდავოდ ერთ-ერთი ცენტრალური მოვლენაა საერთოდ. ლომის ბოკვერმა ვიღიმ, რომელიც ლონდონის ჩემპიონატის ემბლემად იქცა, უკვე დიდი ხანია გადალახა ლამანში, ატლანტის ოკეანე და მის ეშმაკურ ფიზიონომიას იხილავთ ყველაზე უფრო გავლენიანი გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე, სარეკლამო ფარებზე, მაღაზიების ვიტრინებში.

მაგრამ სინამდვილეში ჯერ ხომ არაფერი მომხდარა. 16 პრეტენდენტი რჩება 16 პრეტენდენტად. ივნვრის კენჭისყრამ „როიალ გარდენის“ სასტუმროში ისინი გაანაწილა ოთხ ჯგუფში და ახალ დაპირისპირებათა, კომბინაციებისა და დავის საგანი შექმნა. საქმე ის კი არაა, რომ კენჭისყრა ერთთათვის იღლიანი აღმოჩნდა, სხვა მეორეთათვის — უიღბლო. კენჭისყრა უკვე თავისთავად წარმოქმნის ფანტაზიას. ფანტაზიები წარმოიქმნება არა იმიტომ, რომ მათთვის იქმნება მყარი საფუძველი, არამედ იმიტომ, რომ ყველას სურს გამოთქვას თავისი შეხედულება და თვითეულ მათგანს სჯერა, რომ სწორედ იგია ერთადერთი შეუცდომელი.

გასაკვირი არაა, რომ იმ წინააღმდეგობებში, რომლებიც წინ უძღვის ყოველ დიდ ტურნირს, ძალიან ბევრია ბუნებრივი მარცვლის მიგნება. და თუ ჩვენ ამას შევეცდებით, უნდა მივმართოთ იმ ადამიანებს, ვისი გამოცდილება და საფეხბურთო ავტორიტეტი ეჭვს არ იწვევს. აას-ის კორესპონდენტებმა თხოვნით მიმართეს ლონდონის ჩემპიონატის ოთხ მონაწილეს, სსრ კავშირის ნაკრების წევრებს — ლ. იაშინს, ვ. ივანოვს, ვ. ვორონინსა და ვ. აფონინს პასუხი გაეცათ შეკითხვებზე, რომლებიც დღეს მთელ საფეხბურთო სამყაროს აინტერესებს.

● რამდენად სერიოზულად უყურებთ „როიალ გარდენში“ ჩატარებულ კენჭისყრას?

იაშინი: სრული სერიოზულობით. ვიცით რა გუნდების განაწილება ჯგუფებში და ჩვენი უახლოესი მეტოქეები, საშუალება მოგვეცა მსოფლიო ჩემპიონატისთვის საერთო სამზადისიდან გადავსულიყავით მის უფრო კონკრეტულ ეტაპზე, ე. ი. ჩვენი, IV ჯგუფის მონაწილეთა სტილის დეტალურ შესწავლაზე, ანსამბლის პრაქტიკულ შეთამაშებაზე, რათა წარმატებით გადავჭრათ ის ამოცანები, რომლებსაც ეს მოწინააღმდეგეები აყენებენ ჩვენს წინაშე. მე არ მინდა კენჭისყრის შედეგები განვიხილო იღბლიანობისა თუ უიღბლობის პოზიციებიდან. დარწმუნებული ვარ, რომ ლონდონში სუსტები არ იქნებიან. ის, ვინც იმედოვნებს იოლ გამარჯვებას თუნდაც კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან, ცდება. შეგახსენებთ ჩილის ჩემპიონატის სამწუხარო გამოცდილებას, როცა ჩვენ ასეთი განწყობილებით გამოვედით კოლუმბიასთან შეხვედრაში და კინაღამ დავმარცხდით. ჩემი აზრით, კენჭისყრამ საკმაოდ თანაბარზომიერად დაპყო გუნდები ჯგუფებად. მოოლად III ჯგუფი გამოიყურება უფრო რთულად, ვინაიდან იქ ერთად მოხვდნენ ბრაზილია, უნგრეთი, პორტუგალია და ბულგარეთი. არ ვისურვებდი, რომ სსრ კავშირის ნაკრები მოხვედრილიყო რომელიმე ამ გუნდის ადგილას.

ივანოვი: კენჭისყრამ გამახარა. ჩემი აზრით, IV ჯგუფი, რომელსაც სათავეში უდგას სსრ კავშირის ნაკრები, ყველაზე იღბლიანია. მიუხედავად იტალიელთა და ჩილიელთა უეჭველი სიძლიერისა, სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ წარმატებაზე. თუმცა შემდგომში ჩვენს გზაზე დგანან ბრაზილია, უნგრეთი ან პორტუგალია. ვისთან ჯობს თამაში, ვერ ვიტყვი. საფეხბურთო ინტუიცია მკარნახობს, რომ ყველაზე „სასიამოვნო“ მეტოქე მაინც პორტუგალია უნდა იყოს.

ᲕᲝᲠᲝᲜᲘᲜᲘ: კენჭისყრის დროს მოსკოვის ტელევიზიაში ვიყავი და, ბუნებრივია, ძალიან ვღელავდი. ჩემი შეფასება მაშინვე გამოთქვი ტელემაყურებლის წინაშე. მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ კენჭისყრა ჩვენი გუნდისთვის იღბლიანი იყო. IV ჯგუფი შედგება გუნდებისგან, რომლებიც ჩვენთვის დიდ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდნენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ მეოთხედფინალში გამოდის წინასწარი ტურნირის 2 გამარჯვებული, დამშვიდებით შეგვიძლია ვიფიქროთ მსოფლიო ჩემპიონატის შემდგომი ეტაპის თამაშებზე. ამას გარდა, კარგად წარიმართა სსრ კავშირის ნაკრების მატჩების კალენდარი. პირველი შეხვედრა გვაქვს კორეელებთან და თუმცა ლაპარაკია, რომ მათ შეუძლიათ სიურპრიზის მოხდენა, მაინც ვფიქრობ, რომ ეს გუნდი ყველაზე უფრო სუსტია ჯგუფში. ასე რომ, პირველი მატჩი ჩვენთვის არ წარმოადგენს დიდ ხიფათს და მისი მოგება საჭირო დამაჯერებლობას შთაგვინერგავს იტალიელებთან შეხვედრისათვის.

მაგრამ IV ჯგუფი მაინც არ მიმაჩნია ყველაზე იოლად. ინგლისელები უფრო

აპრილის კალენდარი

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა სსრ კავშირის 28-ე საფეხბურთო ჩემპიონატის „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის გუნდების I წრის მატჩების კალენდარი.

აპრილის კალენდარი ასეთია:

10. „ნეფტიანიკი“ — „დინამო“ (მინსკი), „არარატი“ — „კრილია სოვეტოვი“, „ჩერნომორეცი“ — „ლოკომოტივი“, „დინამო“ (კიევი) — „ზენიტი“, „პახტაკორი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი), „კაირატი“ — ცსკა, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „სპარტაკი“, „დინამო“ ((თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი), „შახტიორი“ — სკა (როსტოვი).

15. „ნეფტიანიკი“ — „კრილია სოვეტოვი“, „არარატი“ — „დინამო“ (მინსკი), „ჩერნომორეცი“ — „ზენიტი“, „დინამო“ (კიევი) — „ლოკომოტივი“, „პახტაკორი“ — ცსკა, „კაირატი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი), „ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (მოსკოვი), „დინამო“ (თბილისი)—„სპარტაკი“, „შახტიორი“ — სკა (ოდესა).

20. სკა (ოდესა) — სკა (როსტოვი).

21. „ნეფტიანიკი“ — „დინამო“ (მოსკოვი), „არარატი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი), „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ (კიევი), „პახტაკორი“ — „ზენიტი“, „კაირატი“ — „დინამო“ (მინსკი), „ტორპედო“ (ქუთაისი)— „ლოკომოტივი“, „დინამო“ (თბილისი) — ცსკა, „შახტიორი“ — „სპარტაკი“.

26. „ნეფტიანიკი“ — „შახტიორი“, „დინამო“ (კიევი)—„კრილია სოვეტოვი“, „პახტაკორი“—„დინამო“ (მინსკი), „კაირატი“ — „ზენიტი“, „დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი), სკა (ოდესა) — „არარატი“, სკა (როსტოვი) — „სპარტაკი“, „ტორპედო“ (მოსკოვი) — ცსკა.

27. „დინამო“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“.

„ა“ ლიგა



საბჭოთა ფეხბურთელები მონაწილეობდნენ VI და VII მსოფლიო ჩემპიონატებში. მათ ორჯერვე ერთნაირი შედეგით დაამთავრეს ასპარეზობა: გაიყვეს V-VIII ადგილები.

VI ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში სსრ კავშირის ნაკრების მეტოქეები იყვნენ პოლონელები და ფინელები. ჩვენმა გუნდმა და პოლონელებმა I-II ადგილები გაიყვეს 6-6 ქულით 8 შესაძლებლიდან. საბჭოთა ფეხბურთელებმა ორი მატჩი მოუგეს ფინელებს (2:1, 10:0). ასეთივე შედეგს მიაღწიეს პოლონელებმაც (3:1, 4:0). საბჭოთა კავშირის ნაკრებმა პირველი მატჩი მოუგო პოლონეთს (3:0), მეორე კი წააგო (1:2). დაინიშნა მესამე, გადამწყვეტი მატჩი ფინალში გასვლისთვის, რომელიც საბჭოთა გუნდმა მოიგო — 2:0.

შვეიცის ფინალურ ტურნირში ჩვენი ნაკრები მოხვდა ყველაზე რთულ, IV ჯგუფში (ბრაზილია, ინგლისი, ავსტრია). აქ მან ფრედ (2:2) ითამაშა ინგლისელებთან, მოუგო ავსტრიელებს (2:0) და წააგო (0:2) ბრაზილიელებთან. გადამწყვეტი თამაში მეოთხედფინალში გასვლისთვის სსრ კავშირის ნაკრებმა მოუგო ინგლისელებს (1:0), მაგრამ შემდეგ დამარცხდა შვედებთან (0:2).

საბჭოთა გუნდი ამ შეჯიბრებაში გამოდიოდა ასეთი შემადგენლობით: მეკარე იაშინი, მცველები — კესარევი, კრიჟევსკი, კუზნეცოვი, ნახევარმცველები — ვორონინი, ცარიოვი, ნეტო, თავდამსხმელები — ა. ივანოვი, ვ. ივანოვი, სიმონიანი, სალნიკოვი, ილინი, აპუხტინი, ფალინი.

ჩილის საგზაური საბჭოთა ნაკრებმა მოიპოვა თურქებისა (1:0, 2:1) და ნორვეგიელთა (5:2, 3:0) დამარცხების მეოხებით. ფინალში მის ჯგუფში მოხვდნენ



იუგოსლავია, კოლუმბია და ურუგვაი. ჩვენმა ფეხბურთელებმა ხძლიეს იუგოსლავიას (2:0), ურუგვაის (2:1) და ფრედ (4:4) დაამთავრეს შეხვედრა კოლუმბიასთან, რითაც მოიპოვეს მეოთხედფინალში თამაშის უფლება. აქ ისინი დამარცხდნენ მასპინძლებთან (1:2).

სსრ კავშირის ნაკრები VII ჩემპიონატში გამოდიოდა ასეთი შემადგენლობით: მეკარე იაშინი, მცველები — ჩოხელი, დუბინსკი, მასლიონკინი, ოსტროვსკი, ნახევარმცველები — ვორონინი, ნეტო, თავდამსხმელები — მეტრეველი, ჩისლენკო, ივანოვი, პონედელნიკი, მესხი, კანევსკი, მამიკინი, ჰუსაინოვი.

1965 წელს ნაკრებმა ჩაატარა შემდეგი თამაშები: 0:0 ავსტრიასთან მოსკოვში, 3:1 საბერძნეთთან მოსკოვში, 2:1 უელსთან მოსკოვში, 6:0 დანიასთან მოსკოვში, 0:3 ბრაზილიასთან მოსკოვში, 0:0 იუგოსლავიასთან მოსკოვში, 4:1 საბერძნეთთან ათენში, 3:1 დანიასთან კოპენჰაგენში, 1:2 უელსთან კარდიფში, 2:2 ბრაზილიასთან რიო-დე-ჟანეიროში, 1:1 არგენტინასთან ბუენოს-აირესში, 3:1 ურუგვაისთან მონტევიდეოში.

გოლები გაიტანეს: ბანიშევსკიმ (7), მეტრეველმა (4), ივანოვმა (3), ბარქაიამ, ჰუსაინოვმა (2-2), მესხმა, კაზაკოვმა, ვორონინმა, მალაფეევმა, საბომ და ოსიანინმა (1-1).

1965 წლის განმავლობაში ნაკრებში თამაშობდნენ: მეკარეები — იაშინი (5 მატჩი), კავაზაშვილი (5), ბანიკოვი (4); მცველები — პონომარიოვი (7), რიაბოვი (3), შესტერნიოვი (10), დანილოვი (10), სარაევი (1), დიკარევი (2), აფონინი (5), გეტმანოვი (2), ხურცილავა (5); ნახევარმცველები — ვორონინი (11), ნეტო (1), კუტიკაძე (2), ლოგოფეტი (3), სიჭინავა (3), მარუშკო (1), საბო (5), თავდამსხმელები — მეტრეველი (12), ივანოვი (5), კაზაკოვი (5), მესხი (9), კრასნიცკი (1), ადამოვი (1), ჰუსაინოვი (8), ბარქაია (2), ბიბა (1), შჩერბაკოვი (1), ბანიშევსკი (7), ოსიანინი (1), კოპაევი (3), ხმელნიცკი (4), მალაფეევი (4).

უესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ათენში. თამაშობენ სსრ კავშირისა და საბერძნეთის ნაკრები გუნდები. ამ მატჩის წინ ბერძნებს კიდევ ჰქონდათ შანსი მოეპოვებინათ ფინალში გასვლის უფლება. საამისოდ საჭირო იყო თამაშის მოგება, მაგრამ საბჭოთა გუნდი კვლავ აღმოჩნდა მეტოქეზე ძლიერი და გაიმარჯვა — 4:1.

სურათზე ნაჩვენებია მომენტი, როცა საბჭოთა მეკარე ლ. იაშინმა ნახტომში მოიგერია ბერძენთა თავდამსხმელის სიდერისის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი.

სხიერელი, საკანდელიძე, კაზანჯიანი...

კალათბურთელ ვაჟთა 33-ე საკავშირო ჩემპიონატის I წრის შემდეგ გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ კორესპონდენტმა თხოვნით მიმართა ყველა 12 გუნდის მწვრთნელს ეპასუხათ ტრადიციულ კითხვაზე: „როგორი იქნებოდა ტალინის ტურის საფუძველზე შემდგარი სსრ კავშირის ნაკრები?“ თვითეულმა „დაკითხულმა“ წარმოადგინა თავისი ვარიანტი, რომელშიც შედიოდა 4 მცველი, 4 თავდამსხმელი და 4 ცენტრალური მოთამაშე.

მცველები: საკანდელიძე (თბილისის „დინამო“) — 11 ხმა, სალუხინი (კიევის ასკ) — 10, ბელოვი (სვერდლოვსკის „ურალმაში“) — 9, ტრავინი (ცსკა) — 7, სარპალიუსი (კაუნასის „უალგირისი“) — 4, ხტრელისი (რიგის ასკ) — 2, კულკოვი, ასტახოვი (ორიენი — ცსკა), ოზერსი (რიგის ვეფ-ი), პაულაუსკასი (კაუნასის „უალგირისი“), კაზანჯიანი (თბილისის „დინამო“) — 1-1.

თავდამსხმელები: ვოლნოვი (ცსკა) — 12, პაულაუსკასი — 10, კორნეევი (ცსკა) — 8, სხიერელი (თბილისის „დინამო“) — 7, ტომსონი (ტარტუს „კალევი“), იურგენსონი (რიგის ვეფ-ი) — 4-4, ბიკოვი (ლენინგრადის „სპარტაკი“) — 2, ჩეჩურა (კიევის ასკ) — 1.

ცენტრალური თავდამსხმელები: ლიპსო (ცსკა) — 12, ივანოვი (ლენინგრადის „სპარტაკი“) — 11, სუშაკი (კიევის ასკ)—7, სხიერელი — 5, ეგლიტისი (რიგის ასკ), ლეპმეტსი (ტარტუს „კალევი“) — 4-4, ზუბკოვი (ცსკა) — 2, ნესტეროვი (ლენინგრადის ასკ), ბუდნიკასი (კაუნასის „უალგირისი“), ოკაპნიკი (კიევის „სტრო�ტელი“) — 1-1.

12-12 ხმა მიიღეს სხიერელმა (7 როგორც თავდამსხმელმა და 5 როგორც ცენტრალურმა თავდამსხმელმა), ვოლნოვმა და ლიპსომ; 11-11 ხმა მიიღეს პაულაუსკასმა (10 როგორც თავდამსხმელმა და 1 როგორც მცველმა), საკანდელიძემ და ივანოვმა.

3. ლაპარაკობენ დელეგატები

„ლელო“ ინტერვიუ

საფუძველი სკოლაშივე ეყრებოდეს!

„ლელოს“ კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს კომკავშირის 26-ე ყრილობის დელეგატს — რესპუბლიკის რეკორდსმენს, მძლეოსან მ. ოყროშიძეს და ასეთი კითხვა მისცა მას:

● **რა მნიშვნელობას ანიჭებთ საქართველოს კომკავშირის ყრილობას?**

— საქართველოს კომკავშირის ყრილობა უაღრესად დიდი მოვლენაა ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრებაში. პირადად ჩემთვის მას ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს — როგორც სტუდენტისთვისაც და როგორც სპორტსმენისთვისაც. ყრილობის დელეგატთა დიდი ნაწილი სტუდენტობა იქნება და, ბუნებრივია, სტუდენტურ საქმეებზე გაჩაღდება ლაპარაკი. მაშასადამე, სპორტზეც იქნება დიდი საუბარი. გულისტკივილით უნდა ვთქვა, რომ ჩემს საყვარელ „სპორტის დედოფალს“ — მძლეოსნობას ჩვენში ჯერ კიდევ არ ექცევა პაოანადო ყურადღება. და ეს მაშინ, როცა გვყავს ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა.

ჩემი აზრით, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ სკოლებში არ უყრიან საფუძველს მძლეოსნობისადმი სიყვარულს და, საერთოდ, რესპუბლიკაში ნაკლებად ზრუნავენ მძლეოსნობის პოპულარიზაციისთვის. ამის უებარი წამალია შეჯიბრებათა ხშირად გამართვა, სკოლებში მოწინავე მძლეოსნებისა და ამ სახეობის სპეციალისტთა მიწვევა და მათთან შეხვედრების გამართვა.

სურათზე: მ. ოყროშიძე მოსკოვის სპორტის სასახლეში შეჯიბრებისას.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

პროგნოზები

უკეთეს მეტოქეებთან მოხვდნენ. I ჯგუფში მათი სიძლიერის მოწინააღმდეგეები არ არიან. იქ შეიძლება დავა მხოლოდ იმაზე, თუ ვინ გავა II ადგილზე — საფრანგეთი თუ ურუგვაი. პირადად მე უპირატესობას ფრანგებს ვანიჭებ.

ყველაზე უფრო საკამათოა III ჯგუფი, რომლის ოთხივე მონაწილე რთულ მდგომარეობაშია. ძნელი სათქმელიცაა ვინ მოიპოვებს აქ გამარჯვებას. ბრაზილიას და პორტუგალიას, რომლებიც მეოთხედფინალში დავასახელე, სადავო შანსები აქვთ და სულაც არ არის გამორიცხული, რომ ერთ-ერთი მათგანის ადგილს უნგრეთი დაიკავებს. გამორიცხული არაა ბულგარელთა წარმატებაც, თუმცა იგი კენჭისყრის დროს აუტსაიდერებში ჩარიცხეს.

აფონინი: მსოფლიო ჩემპიონატი ინგლისში ჩემთვის პირველია. მხოლოდ შარშანდელი სეზონის ბოლოს ჩამრიცხეს სსრ კავშირის ნაკრებში და ამიტომ ჩემი ნაცნობობა მსოფლიო ფეხბურთთან მხოლოდ ახლა იწყება. ბუნებრივია, რომ კენჭისყრის შედეგები ჩემთვის უფრო ნაკლების მთქმელია, ვიდრე ნაკრების სხვა წევრთათვის. თვითეული მოწინააღმდეგე, რომელთანაც შეხვედრა მომიხდება მსოფლიო ჩემპიონატში, ძნელი იქნება. თუმცა საკამათო არ უნდა იყოს, რომ ჩვენი ჯგუფი უკეთესია, ვიდრე III.

● **ვინ იქნება 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონი?**

იაშინი: უძლიერესი ეროვნული ნაკრები.

ივანოვი: ვფიქრობ—ინგლისი. დარწმუნებული ვარ, რომ ბრაზილიის ნაკრები ვერ შეძლებს ზედიზედ მესამედ მოიგოს ქიულ რიმეს თასი. მართალია, პელემ უკვე აუწყა საფეხბურთო სამყაროს, რომ გაიმარჯვებს მისი გუნდი და ისიც, რომ იგი ამ ტურნირში გაიტანს 20 ბურთს, მაგრამ მიუხედავად მსოფლიოს საუკეთესო ფორვარდის ავტორიტეტისა, მისი სიტყვები ძნელი დასაჯერებელია. ობიექტური უპირატესობა ინგლისელთა მხარეზეა. ისინი მასპინძლები არიან და შეუძლიათ შექმნან ძალიან ძლიერი გუნდი. გარდა ამისა, მათ იღბლიანი კენჭი შეხვდათ.

ვორონინი. ინგლისი. ამას მე დიდი ხანია ვფიქრობ, მაგრამ ბრაზილიელები მათთვის ძალზე დიდ სიფათს წარმოადგენენ. ახლა, კენჭისყრის შემდეგ ა. რამსეის გუნდის შანსები გაიზარდა. ახლანდელ მსოფლიო ჩემპიონებს გაუჭირდებათ ჯერ კიდევ ტურნირის დასაწყისში, თავიანთ ჯგუფში და ეს ფაქტორი უეჭველად იჩენს თავს შემდგომ მატჩებში.

აფონინი: ჩემი აზრით, ბრაზილიელები ვერ მოიპოვებენ პირველობას. ამით არ მინდა ვთქვა, რომ ვ. ფეოლას გუნდი უფრო სუსტია, ვიდრე 4 წლის წინ. ბრაზილიის ნაკრები მეტად ძლიერია და ეს მე საკუთარი გამოცდილებით ვიცი. 1965 წლის შემოდგომაზე მომიწია თამაშმა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთა წინააღმდეგ რიო-დე-ჟანეიროში. ეს ძნელი მატჩი იყო. პელემ და მისმა ამხანაგებმა გვაიძულეს მთელი ძალები დაგვეხარჯა, რათა თავი დაგვეღწია დამარცხებისთვის, მაგრამ „მარაკანას“ სტადიონზე ჩვენ ვიგრძენით, რომ ბრაზილიელთა წინააღმდეგ თამაში შეიძლება. როგორც სტოპერი, ვიტყვი, რომ ბრაზილიელთა წინააღმდეგ შოთამაშე ყოველი გუნდისთვის ყველაფერს გადაწყვეტს ის, თუ როგორ იბრძოლებენ მცვლელები პელეს წინააღმდეგ. რიო-დე-ჟანეიროში მე და ვ. ვორონინმა ეს ამოცანა ასე თუ ისე გადავწყვიტეთ. მართალია, პელემ გაიტანა თავისი ტრადიციული გოლი, მაგრამ გუნდისთვის გააკეთა ნაკლები, ვიდრე მისგან მოელოდნენ.

● **როგორ ემზადებით მსოფლიოს პირველობის თამაშებისთვის?**

იაშინი: საკუთრივ ჩემს მომზადებაზე საინტერესოს ვერაფერს ვიტყვი. მთელი გუნდი ემზადება ერთობლივი გეგმით, რომელიც დიდი ხანია გამოიმუშავა მწვრთნელთა საბჭომ ნ. მოროზოვის ხელმძღვანელობით. მონაწილეობა მაქვს მიღებული ბოლო 2 მსოფლიო ჩემპიონატში და ნათლად ვხედავ, რომ ახლანდელი გეგმა უფრო გულმოდგინეადაა შედგენილი, ვიდრე ადრინდელი. ერთობლივი წვრთნა და საერთაშორისო ამხანაგური თამაშები დავიწყეთ ჯერ კიდევ იანვარში. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების წევრები გაათავისუფლა თავიანთ კლუბებში გამოსვლისგან ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის პირველ ნახევარში. ამან მოქმედების თავისუფლება შეუქმნა ნ. მოროზოვს, ჩვენ კი შესაძლებლობა გვაქვს მშვიდად, მიზანდასახულად, იძულებითი შეწყვეტების გარეშე ვივარჯიშოთ ერთ კოლექტივში, შევისწავლოთ ერთმანეთი, შევათამაშოთ გარკვეული რგოლები.

ჩვენი მზადების მნიშვნელოვანი ეტაპებია ზამთრის ტურნე ლათინურ ამერიკაში და საგაზაფხულო-საზაფხულო თამაშების სერია ევროპის ქვეყნების ნაკრებ თუ საკლუბო გუნდებთან. იანვრიდან მოყოლებული მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე მოგვიწევს 25-26 საერთაშორისო ამხანაგური თამაშის ჩატარება, რათა მივაღწიოთ საჭირო სპორტულ ფორმას. ეტყობა, ამას ჩვენ შევძლებთ. იმედი გვაქვს ინგლისში ვითამაშოთ უკეთესად, ვიდრე შვეიცარია და ჩილიში.

ჩ. იაშინს ამ კასუხის შემდეგ, ვფიქრობთ, საჭირო აღარ იყო იმავე შეკითხვით მიგვმართა ივანოვის, ვორონინისა და აფონინისთვის. მათი პირადი გეგმები, ისევე, როგორც იაშინისა, მთლიანად ექვემდებარება ნაკრების ინტერესებს.

სსრ კავშირის ნაკრები ემზადება მსოფლიო ჩემპიონატისთვის. მართალია, არც ერთ პროგნოზში ჩვენი გუნდი არ დაუსახელებიათ მომავალ გამარჯვებულთა შორის, მაინც ვფიქრობთ, რომ სსრ კავშირის ნაკრებს შეუძლია გაიმარჯვოს. ეს უკვე ჩვენი პროგნოზია.



ვ. კირილიუკი,
ა. მარიამოვი.

ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 31 ქვეყანა

ევროპის ფეხბურთელთა I ჩემპიონატში მონაწილეობისთვის გაწევიცხადების მიღების ვადა გავიდა. ჩემპიონატში გამარჯვებული გამოვლინდება 1968 წლის ივლისში. ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირის გადაწყვეტილებით ეს ახალი შეჯიბრება შეცვლის ევროპის თასის ადრინდელ გათამაშებას.

კონტინენტის პირველობაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 31 ქვეყანამ, ესენია: ალბანეთი, ავსტრია, ინგლისი, ბელგია, ბულგარეთი, უნგრეთი, გდრ. საბერძნეთი, დანია, ირლანდია, ესპანეთი, ჰოლანდია, კვიპროსი, ლუქსემბურგი, მალტა, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, სსრ კავშირი, თურქეთი, უელსი, გფრ, ფინეთი, საფრანგეთი, ჩეხოსლოვაკია, შოტლანდია, შვეიცია, შვეიცარია, იუგოსლავია.

23 თებერვალს ციურიხში მოეწყობა კენჭისყრა, რის შემდეგ დადგინდება შესარჩევი ჯგუფების მონაწილე გუნდები. ჩემპიონატის I ეტაპია 1966 წლის 1 აგვისტო — 1968 წლის 27 თებერვალი.

მეოთხედფინალური მატჩები შედგება 1 მარტიდან 15 მაისამდე, 4 უძლიერესის ტურნირი კი (აგრეთვე ოლიმპიური სისტემით) — 1968 წლის ივნის-ივლისში.

ა რ მ ი ე ლ

სპორტსმენთა ფორუმი

ვარშავაში გაიმართა მოძმე არმიების სპორტული კომიტეტის ბიუროს სხდომა, რომელმაც განიხილა მომავალი სპარტაკიადების ჩატარების საკითხები. პოლონელ ჟურნალისტებთან საუბარში კომიტეტის თავმჯდომარემ, პოლკოვნიკმა კ. ჟუროვმა (სსრ კავშირი) განაცხადა, რომ 1966 წლის სპარტაკიადა მოეწყობა სპორტის 12 სახეობაში. ხოლო 1967 წლისა—17-ში.

1961 წლიდან მოყოლებული, მოძმე არმიების წარმომადგენლები ერთმანეთს 49-ჯერ შეხვდნენ. საბჭოთა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 48 ტურნირში და მოიპოვეს ოქროს 290, ვერცხლის 118 და ბრინჯაოს 84 მედალი.

1966 წლის შეჯიბრებები გაიმართება შემდეგ ქალაქებში: მძლეოსნობა — ბერლინში (20 მარტს), ჭადრაკი — პრაღაში (25-28 სექტემბერს), კალათბურთი — ბრატისლავაში (2-12 სექტემბერს), კრივი — ბუდაპეშტში (19-24 სექტემბერს). დანარჩენი ტურნირების ჩატარების თარიღები ჯერჯერობით დაუდგენელია.

პრემიერის ოლიმპიური საზრუნავი

ბარიზი, 10 თებერვალი. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ჟ. პომპიდუ ახლა თავად ადევნებს თვალყურს გრენობლის 1968 წლის ზამთრის ოლიმპიადისთვის სამზადისს.

მთავრობის სხდომაზე, რომელიც პრეზიდენტ დე გოლის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, გადაწყდა 600 მილიონი ახალი ფრანკის გამოყოფა ოლიმპიური სეჭიროებისთვის. X „თეთრი ოლიმპიადის“ დედაქალაქში აიგება ახალი აეროპორტი, რკინიგზის ეოგზალი, დიდი ფოსტამტი, აგრეთვე ავტოსტრადა, ახალი რადიო და ტელეკომუნიკაციები შეჯიბრებების ადგილებიდან რეპორტაჟების საქვეყნოდ ტრანსლირების საშუალებას მოგვცემს.

ამიერიდან ზამთრის ოლიმპიადის საპარბოროტო საკითხებს განიხილავენ სამ თვეში ერთხელ საგანგებო თათბირებზე, რომლებსაც დაესწრება საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲜᲙᲔᲢᲐ

გაზეთმა „ჩესკოსლოვენსკი სპორტმა“ მოაწყო რეფერენდუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ევროპის 16 ქვეყნის სპორტულმა რედაქციებმა. აი, გამოკითხვის შედეგად კონტინენტის 10 უძლიერესი საკლუბო გუნდი (1965 წლის სეზონის შედეგების მიხედვით):

1. „ინტერნაციონალი“ (მილანი) — 159 ქულა, **2. „ბენფიკა“** (ლისაბონი) — 130, **3. „მანჩესტერ იუნაიტედი“** — 106, **4. „რეალ მადრიდი“** — 87, 5. **„მილანი“** — 57, **6. „ლივერპული“** — 49, **7. „სპარტა“** (პრაღა) — 46, **8. „ფერენცვაროში“** (ბუდაპეშტი) — 44, **9. „ვესტ ჰემი“** (ინგლისი) — 36, **10. „ანდერლეხტი“** (ბელგია) — 34.

ᲐᲛᲐᲠᲘᲚᲓᲝᲛ ᲞᲔᲜᲐᲚᲢᲘ ᲒᲐᲐᲤᲣᲭᲐ

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ მილანში ბაზრობათა თასის გათამაშების პირველ მერვედფინალურ მატჩში ადგილობრივი „მილანი“ შეხვდა ლონდონის „ჩელსის“.

მასპინძელთა რიგებში ავადმყოფობის გამო არ იყო 5 წამყვანი ფეხბურთელი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პირველ ნახევარში უპირატესობა „მილანის“ მხარეზე იყო, თუმცა ანგარიში არ გახსნილა.

მეორე ტაიმი ინგლისელთა შეტევებით დაიწყო. განსაკუთრებით გამოჩრჩეოდა ინგლისური ფეხბურთის ახალი „ვარსკვლავი“, 18 წლის პ. ოზგუდი. ანგარიში მაინც მასპინძლებმა გახსნეს: 58-ე წუთზე ამარილდომ რივერას გადაცემიდან გაიტანა პირველი გოლი — 1:0. მე-60 წუთზე ამარილდომ ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო — ბურთი ძელს მოახვედრა. 85-ე წუთზე რივერამ ახლოდან გაიტანა მეორე გოლი — 2:0.

ბოლო 5 წუთი „ჩელსის“ გააფთრებული იერიშებით აღინიშნა. მილანელთა მეკარის ბალცარინის ბრწყინვალე თამაშის მიუხედავად, 89-ე წუთზე გრეჰემმა სხვაობა შეამცირა — 1:2.

16 თებერვალს ლონდონში გაიმართება ამ გუნდების საპასუხო შეხვედრა.

(საკ. ინფ.).

თოვლი კი მოდის...

ტრონჰეიმი, 10 თებერვალი. სწორად წერია სახელმძღვანელოებში, რომ გოლფსტრიმის თბილი დინება ყინვისგან იცავს ნორვეგიის ამ ქალაქს. ახლანდელ სუსხიან ზამთარშიც კი, როცა ოსლოში 20 გრადუსზე მეტი ყინვა იდგა, ნორვეგიის ამ ჩრდილოეთის ზღვისპირა ქალაქ ტრონჰეიმში, სადაც შაბათ-კვირას გაიმართება ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ციგურებით ჩქაროსნულ რბენაში, სინდიყის სვეტი თერმომეტრში უჩვენებს 18 გრადუს სითბოს.

ახლა ნორვეგიაში იმდენი თოვლია (თითქოს სპეციალურად ამ ქვეყანაში მსოფლიო პირველობაზე ჩამოსულ მოთხილამურეთათვის), რომ ტრონჰეიმის ადგილობრივი თოვლმა დაფარა და თვითმფრინავმა, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენი ქალები ისხდნენ, რამდენიმე წრე შემოხაზა ქალაქის თავზე და დაბრუნდა ოსლოში. იქ ამ დროს საბჭოთა ქალები ეჯიბრებოდნენ ჰოლანდიელებს. ჰოლანდიელი ქალები სწორად მოიქცნენ და გადაწყვიტეს საღამოს გამგზავრებულიყვნენ მატარებლით. უსაზღვრო იყო მათი სიხარული, როცა ვოგზალზე შეხვდნენ თავიანთ საბჭოთა მეგობრებს. „ჯერჯერობით ვერ გაგვისწარით“, — თქვა ჰოლანდიელთა მწვრთნელმა პ. ზვანენბერგმა, რომელიც ჩინებულ გუნებაზე იყო. ეს გასაგებიცაა — მისი სპორტსმენები სულ უფრო უკეთეს შედეგებს აჩვენებენ.

ტრონჰეიმის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებს თხილამურებით როდი უწევთ გამოსვლა, ამიტომ ქალაქის ერთადერთ 400-მეტრიან სარბენ ბილიკზე, რომელიც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეშია აგებული, დღე და ღამე წმენდენ გზას თოვლისგან. „ყველაფერი წესრიგზე იქნება“, — განუცხადა ჟურნალისტებს საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, ადგილობრივი საციგურაო კლუბის პრეზიდენტმა ი. ლეფტენმა.

17-ჯერ მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მოციგურე ქალები მსოფლიო პირველობაში და 17-ჯერ მოიპოვეს დაფნის გვირგვინი. ამ ტრადიციის გაგრძელება სურს ყველა 5 საბჭოთა მონაწილეს: ორგზის მსოფლიო ჩემპიონს ვ. სტენინას (სვერდლოვსკი), სარატოვის უნივერსიტეტის სტუდენტს ტ. რასტოპშინას, რიგელ ლ. კაუნისტეს, ი. ეგოროვას ივანოვოდან და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტს ლ. ტიტოვას. მწვრთნელთა გადაწყვეტილებით ლ. სკობლიკოვამ სათადარიგოს როლი უნდა შეასრულოს.

ღრმა თოვლში მიმავალი მატარებლები ტრონჰეიმისკენ მიაქროლებენ ავსტრალიის, კანადის, ფინეთის, საფრანგეთის, იაპონიის, ჩინეთის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ჰოლანდიის, ნორვეგიის, პოლონეთის, სსრ კავშირის, შვეიცის, გფრ-ის, გდრ-ის, უნგრეთისა და აშშ-ის სპორტსმენებს. მონაწილეთა მხრივ ახლანდელი ჩემპიონატი ყველაზე ხალხმრავალია.

დღეს სპორტსმენები არ გამოსულან საციგურაოზე: ყინული მზად არაა საწვრთნელად.



ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ

საავტომობილო რბოლას კაპიტალისტური ქვეყნების საქმოსანთათვის ვეებერთელა შემოსავალი მოაქვს დასავლეთ ევროპის საავტომობილო ფირმათა მეპატრონეებმა ახალი საშუალება გამონახეს — გამოძალონ ფული მწვავე განცდათა მოყვარულ მაყურებლებს. ესაა ქალთა საავტომობილო რბოლების მოწყობა.

ავტომობილიან ქალთა შორის უკვე გამოვლინდნენ პირველი „ვარსკვლავები“. აი, მაგალითად, ინგლისელი მარლენ პარკერი ბრიტოლიდან (ზედა სურათი). ეს 22 წლის გოგონა ტაქსის შოფრად მუშაობდა. ქალთა საავტომობილო და სამოტოციკლო რბოლათა გარშემო შექმნილმა აჟიოტაჟმა ისიც გაიტაცა. მ. პარკერმა გადაწყვიტა, რომ სარბოლ ტრასაზე იგი გაცილებით მეტ ფულს იშოვის, ვიდრე ტაქსის მანქანაში

„მზად ვარ წავიდე ყოველგვარ რისკზე, რომ თავი გამოვიჩინო და ნამდვილი კარიერა გავაკეთო“, — განაცხადა პარკერმა და თავისი სამსახური შესთავაზა ფირმას, რომელიც მოტოციკლებსა და ავტომანქანებს აკეთებს. მ. პარკერმა ვალდებულება აიღო დაამყაროს ქალთა რეკორდი სისწრაფეში — 200 კმ საათში. ამასთან ამ რეკორდის დამყარებას იგი აპირებს ურთულეს ტრასაზე ქ. მონცაში, სადაც სიცოცხლეს გამოეპალმა ან მძიმედ დაშავდა უკვე მრავალი ვაჟი მრბოლელი.

აი, კიდევ ერთი მრბოლელი ქალი — ინგლისელი ედკი ბონდი (ქვედა სურათი). რეკლამისა და ფულისთვის იგი მზადაა ვაჟებსაც კი შეეჯიბროს.

„ჩემი მიზანია ქალთა სრულ ემანსიპაციას მივაღწიო ავტოდრომზე. თუ ეს საჭიროა, ჩვენს ქმრებზე ნაკლებად როდი შეგვიძლია სისხლი დავღვაროთ და თავიც გავწიროთ“.

თუ ეს საჭიროა... საჭიროა კი? ჟურნალი „ვიკი“ (გფრ), რომელმაც გამოაქვეყნა ჩვენს მიერ გადმობეჭდილი სურათები, ასკვნის:

„ამ ახალგაზრდა ლამაზ გოგონებს სახიფათო გართობა აურჩევიათ“. უფრო ზუსტი არ იქნება რომ ვთქვათ: სახიფათო შემოსავალი?..

▲ **რომი.** გამოვლინდნენ იტალიის საფეხბურთო თასის ფინალისტები: „ფიორენტინა“ და „კატანჯარო“. ფლორენციელებმა მოუგეს „ინტერნაციონალეს“ — 2:1. გადამწყვეტი ბურთი 89-ე წუთზე გაიტანა ჰამრინმა. სენსაცია გამოიწვია II ჯგუფის გუნდის — „კატანჯაროს“ გამარჯვებამ „იუვენტუსთან“ ნახევარფინალურ მატჩში — 2:1.

▲ **სოფია.** 22 მაისს (ბელგრადში), 7 აგვისტოს (ბუქარესტში) და 18 სექტემბერს (სოფიაში) გაიმართება მოტოციკლისტთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც ასპარეზებენ იუგოსლავიის, საფრანგეთის, თურქეთის, ბულგარეთისა და სსრ კავშირის სპორტსმენები.

▲ **რომი.** იტალიელი მძლეოსანი რობერტ ფრინოლი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს თარჯმორბენლად ითვლება 400-მეტრიან დისტანციაზე. ამას წინათ მან საზეიმო ვითარებაში მიიღო იტალიის მძლეოსანთა უმაღლესი ჯილდო — „ბრუნო ზაულის“ თასი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.



მძლეოსნობა. „დინამოს“ სტადიონი. **12-13 თებერვალი. რესპუბლიკური პირველობა სპორტსაზოგადოებათა ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს შორის** (1946-47 წლებში დაბადებულნი). დასაწყისი: 12-ში — 15 ს., 13-ში — 11 ს.

კლასიკური ჭიდაობა. „განთიადის“ სპორტდარბაზი (სულხან-საბას ქ. № 13). **12-13 თებერვალი. „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა.** დასაწყისი 12 ს., 18 ს.

ИНДЕКС 66148

საქ კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 01445